ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გაზეთი გამოდის 1921 წლიდან

19 მარტი სამშაბათი 1991 № 32 (11665)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.








„საკუთარი თავის გარდა ვერავინ გვიხსნის წითელი ჭირისგან“, „საბჭოთა კავშირი ხალხთა საპყრობილეა“, „Ка-Пэ-Эс-Сэ-Совцы“, — ეს და მსგავსი ლოზუნგები მრავლად იყო მოსკოვში 10 მარტს გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე, რომელსაც დაესწრო ჩვენი კორესპონდენტი თამაზ ბიბილური — მის რეპორტაჟს „სხრა დედაქალაქის კონტრასტები ანუ „უიკ-ენდ“-ი მოსკოვში“ გთავაზობთ მე-4-5 გვერდებზე.

## მიტინგი უნივერსიტეტში

15 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსთან უმაღლესი სასწავლებლის რექტორატის ინიციატივით გაიმართა მიტინგი.

ყველა ორატორის გამოსვლის ლაიტმოტივი იყო რესპუბლიკის მთელი პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის იდეა, აგრეთვე საქართველოს მთელი მრავალეროვანი მოსახლეობის ერთიანობისათვის მოწოდება 31 მარტს დასახული რესპუბლიკური რეფერენდუმის მხარდასაჭერად, ორატორებს შორის იყვნენ უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ დღეს გამწვავებული პოლიტიკური მომენტის გამო, რომელიც საზოგადოებაში კონფრონტაციას იწვევს, ძალების პოლარიზაცია შეუწყნარებელია. ეს მხოლოდ ხელს აძლევს ცენტრის იმპერიულ ზრახვებს.

საქინფორმი

## ვითარება ცხინვალში

17 მარტს ქალაქ ცხინვალსა და სამაჩაბლოს იმ სოფლებში, სადაც ოსი ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, გაიმართა სსრ კავშირის რეფერენდუმი. აქ წინასწარ დაყარეს პროვოკაციული ხმები, თითქოს ქართველი მოსახლეობა და საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება შეეცდებოდა რეფერენდუმისათვის ხელის შეშლას. სინამდვილეში არავითარი ხელისშეშლის შემთხვევა არ ყოფილა, ოღონდ ქართველმა მოსახლეობამ არ მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. საღამოს 8 საათიდან, როცა ცხინვალსა და ოსურ სოფლებში დამთავრდა რეფერენდუმი, ოსმა ექსტრემისტებმა დაიწყეს რაკეტებისა და ყუმბარების დაშენა ცხინვალის შესასვლელთან განლაგებულ ქართული მილიციის საგუშაგოებზე. ბანდიტებმა ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზსა და ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენს. თავდასხმა დილამდე გრძელდებოდა, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. იმავე ღამეს ქალაქ ცხინვალში დაწვეს ქართველების ორი საცხოვრებელი სახლი.

18 მარტს დილით სულისშემძვრელი მკვლელობა ჩაიდინეს ოსმა ბანდიტებმა. ხეით-ერედვის სათადარიგო გზაზე სოფელ თამარაშენიდან მომავალ ადგილობრივ მკვიდრებს მერაბ მინდიაშვილს, ვახტანგ ელბაქიძეს, ზვიად ხაპრელსა და ნუგზარ კასრაძეს თავს დაესხნენ ჩასაფრებული ოსი ექსტრემისტები, დაჭრეს ისინი, შემდეგ კი ხეებზე მიაბეს, გადაასხეს ბენზინი და ცოცხლად დაწვეს ოთხივე ახალგაზრდა.

საქართველოს რესპუბლიკის შსს პრეს-ცენტრი

## სხვა გაზეთებიდან

### რომის პაპი მხარს უჭერს ლიტვას

„ყოველდღე გულით და ლოცვებით ლიტვასთან ვარ... წმინდა ტრაპეზი გამუდმებით ადევნებს თვალს ამ ერის ტანჯვას და იმედი აქვს, რომ ლიტველთა მისწრაფებანი სამართლიან განხორციელებას ჰპოვებენ თანხმობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროში“. — აღნიშნა ვატიკანში, წმინდა პეტრეს მოედანზე გამოსვლისას რომის პაპმა იოანე პავლე II-მ, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის ლიტველთა მხარეზეა („იზვესტია“ № 60, 1991 წ.).

### ჯორჯ ბუში და... კვებეკის დამოუკიდებლობა

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაძლიერდა კანადის შემადგენლობიდან ფრანგულენოვანი პროვინციის კვებეკის გასვლის ცდები. „იზვესტიას“ (№ 63, 1991 წ.). კორესპონდენტის აზრით, საბოლოოდ კვებეკი უსათუოდ მოიპოვებს დამოუკიდებლობას.

გაზეთის ამ ნომერში იმასაც ვკითხულობთ, რომ 13 მარტს პრეზიდენტმა ბუშმა, რომელიც მანამდე შეხვდა კანადის პრემიერმინისტრს ბრაიან მალრუნის, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ: მართალია მე არ ვაპირებ კანადის შინაურ საქმეში ჩარევას, მაგრამ ურთიერთობას კი ნამდვილად განუყოფელ კანადასთან ვამჯობინებდით.

### უპრეცედენტო პროექტი

როგორც ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ი იუწყება, ამერიკა და საბჭოთა კავშირი კოსმოსის კვლევის უპრეცედენტო ერთობლივ პროექტზე მუშაობენ („ტრუდი“ № 60, 1991 წ.).

პროექტი ითვალისწინებს საბჭოთა კოსმონავტის მრავალჯერადი გამოყენების ხომალდის „შატლის“ და ამერიკელი ასტრონავტის საბჭოთა ხომალდ „სოიუზის“ ფრენაში მონაწილეობას.

ყველაფერთან ერთად, პროექტს უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობაც ექნება, — განუცხადა „სი-ბი-ეს-“-ის კორესპონდენტს ამერიკის კოსმოსის შემსწავლელი ინსტიტუტის ექსპერტმა ჯონ ლოგსდონმა, — პროგრამა „სოიუზ-აპოლონის“ შემდეგ ხომ აშშ და სსრკ პირველად აერთიანებენ თავიანთ ძალებს კოსმოსური სივრცის გამოსაკვლევად.

(დასასრული მე-5 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 მარტის რეფერენდუმისათვის

# ქართველების გვერდით

სსრკ-ში შემავალ რესპუბლიკებში მცხოვრებ სხვადასხვა ერთა წარმომადგენლების უმეტესობა მხარს უჭერს კავშირის შენარჩუნებას — მსგავს სიცრუეს არაერთგზის წაიკითხავთ საკავშირო პრესაში, მოისმენთ ცენტრალური ტელევიზიით. ათასწლოვანი (პრეზიდენტის თქმით — ?!) კავშირის გასამართლებლად მოწყობილი 17 მარტის „ღონისძიება" კიდევ ერთი მორიგი ფარსი რომ იყო ცენტრის, ეს ამ ბლიც-ინტერვიუებითაც მტკიცდება:

**სერგო შვეცოვი** (ეროვნებით რუსი), **თბილისის ხაბავშვო და საყმაწვილო რუსული სახელმწიფო თეატრის მსახიობი:**
აქ დავიბადე, თბილისში, თბილისელი ვარ, მშობლებიც აქაურები არიან. ეს არის ჩემი სამშობლო და რაც ხდება აქ, საქართველოში და საერთოდ საბჭოთა კავშირში, ბუნებრივი მოვლენაა, რადგანაც რესპუბლიკები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი.
მიუღებელია ძალით შეკავშირება. მე, რა თქმა უნდა, ხმას ვაძლევ საქართველოს დამოუკიდებლობას.

**აიდარ ზაკიროვი** (ეროვნებით ბაშკირი):
მე აქ ვცხოვრობ 3 წელია. ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხისაგან მარტო სიკეთე და სითბო ვიგრძენი. ქართველებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ თავისი ბედი.
თუ აუცილებელია მონაწილეობა რეფერენდუმში, მე ხმას საქართველოს დამოუკიდებლობას მივცემ.

**მიშა მერგელოვი** (ეროვნებით სომეხი), **მსახიობი:**
მე თბილისელი ვარ. ჯერ კიდევ 4 საუკუნის წინ ჩემი წინაპრები ერეკლე მეორის კარზე მსახურობდნენ. როდესაც ამბობენ, რომ სომეხი და ქართველი ხალხი მეგობრები არიან, ეს ჩემთვის უბრალოდ სიტყვები არ არის, ჩვენ ბევრი რამე გვაკავშირებს საქართველოსთან. საქართველო დღეს დამოუკიდებლობისათვის იბრძვის და ეს ბუნებრივია.
მე მონარქისტი ვარ და, იცით, ფსიქოლოგიურად, თითქოსდა, მიჭირს ვუყურო თუ როგორ ინგრევა სახელმწიფო, მაგრამ თავისი განვითარების გზა ერმა თვითონ უნდა აირჩიოს.
ოქტომბერში ჩვენ უკვე ავირჩიეთ საქართველოს პარლამენტი. მე ხმა მივეცი დღევანდელ პარლამენტს, რომლის პროგრამაში უპირველესი, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაა. ხალხმა აირჩია პარლამენტი და ამით მან გააკეთა თავისი არჩევანი — თავისუფლება. მე სულით და გულით მინდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს.

**ნურია იზაევა, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო ცენტრის ექთანი:**
მე, ქართველ ხალხთან ერთად, მთელი ოჯახით მივცემ ხმას თავისუფალ საქართველოს. ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ, ჩვენ ვცხოვრობთ აქ და ჩვენი სამშობლო საქართველოა. მე და ჩემს მეუღლეს ერთი სურვილი გვაქვს, გამოეყოს საქართველო საბჭოთა კავშირს და იყოს თავისუფალი.

**თამაზ ჯანიევი, დიღმის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის კომპლექსის კომენდანტი:**
გადაწყვეტილება 31 მარტის რეფერენდუმის ჩატარების შესახებ ერთ-ერთი მტკიცე და გაბედული ნაბიჯია გადადგმული საქართველოს პარლამენტის მიერ. ვფიქრობ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ეროვნებისა, ხმა უნდა მივცეთ საქართველოს დამოუკიდებლობას. ჩემთვის ყოველთვის უპირველესი იყო საქართველოს ინტერესები. მე მსურს ვიყო საქართველოს და არა საბჭოთა კავშირის მოქალაქე. დამოუკიდებლობის სურვილი ბუნებრივია, მე ხომ ქართულ მიწაზე დავიბადე, ქართველ ხალხთან ერთად გავიზარდე და დავვაჟკაცდი. ჩემი ცხოვრების მანძილზე არასოდეს მახსოვს წყენა ქართველებისაგან იმის გამო, რომ ეროვნებით ოსი ვარ. ყოველთვის გვერდით ვედგები ქართველ ხალხს ჭირშიც და ლხინშიც. მე მჯერა საქართველოს პარლამენტის. მჯერა, რომ ქართველი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგაც ისეთივე მეგობრულად იქნება სხვა ეროვნების ხალხთან, როგორც ეს ყოველთვის იყო.
მე მოვუწოდებ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსი ეროვნების ყველა წარმომადგენელს, დადგნენ ქართველი ერის გვერდით და ერთად იბრძოლონ თავისუფალი საქართველოსათვის. ნურავინ აჰყვება კრემლის პროვოკაციებს. ქართველი და ოსი ხალხი ყოველთვის ერთმანეთის გვერდით, ერთი დროშის ქვეშ იდგნენ და ახლაც ასეა საჭირო და ვიბრძოლოთ ეროვნული და პიროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ჩაიწერა
**მაია კუპატაძემ.**

# სამაჩაბლოს ქართველობას დახმარების იმედი აქვს

მეოთხე თვეა, რაც ცხინვალის რაიონის რვა სოფელს საქართველოსთან მხოლოდ ერთი თვის წინ გაყვანილი გზა აკავშირებს. სოფელ ერედვამდე მოსახლეობა დიდი წვალებით ახერხებს გადასვლას, მაგრამ პრობლემა ერედვიდან გორში მოხვედრაა. დღეში ორი ავტობუსი დადის გორის მიმართულებით და ერთიც რუსთავის. საჭიროება კი სულ ცოტა, დღეში ხუთ რეისს მოითხოვს და ერთს აუცილებლად თბილისამდე — მოკლე გზით, გორში შეუსვლელად.

სამი თვის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთები და წერილები თვალით არ გვინახავს და რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაოცება, როდესაც ცენტრალური ტელევიზიის ანტიქართული სულისკვეთებით გამსჭვალულ გადაცემა „TCH"-ში ცხინვალის გაზეთების კიოსკებთან რიგი დავინახეთ. ნუთუ თვეში ორჯერ(!) მაინც არ შეიძლება ერედვამდე ფოსტის მოტანა?

მოსახლეობას არც პენსია და ხელფასი მიუღია სამი თვის მანძილზე. ყველას ხომ არ შეუძლია და მითუმეტეს, პენსიონერებს — ამხელა ჯოჯოხეთის გზა გაიაროს თბილისამდე.

ცხინვალის რაიონში არსებობა არ შეუწყვეტია მეპონცვრეობის, მეფრინველეობის, მეცხოველეობის კოლექტიურ დარგებს. აქაც სამი თვეა ხელფასი არ მიუღიათ მუშამოსამსახურეებს.

მრავალი მცხოვრები კონფლიქტური სიტუაციის გამო უმუშევარი დარჩა და საჭიროებს ფინანსურ დახმარებას სესხის სახით მაინც.

საჭიროა აგრეთვე გამოიყოს ხისტარა და ტრანსპორტი, რათა ხალხმა სახელმწიფო ფასებში მაინც ჩააბაროს ხილი და ქალაქის მცხოვრებლებმაც ცოტა იაფად შესძლონ საარსებო პროდუქტის ყიდვა. შაქრის ფქვილის ძალზე დიდი უკმარისობა იგრძნობა ჩვენს რეგიონში და ესეც გასათვალისწინებელია.

მრავალ სხვა საწუხართან ერთი ძალზე დიდი პრობლემაც არის, რომელსაც ოსური მხარე დიდი წარმატებით წყვეტს საბჭოთა არმიის დახმარებით. თუ არა ეს — დაკვირვებული მკითხველი თავადაც მიხვდება. „სამაჩაბლო — ჭრილობაა საქართველოსი" — ხშირად გვესმის ტელევიზიით და რადიოთი, ამიტომ ეს ჭრილობა სასიკვდილო რომ არ აღმოჩნდეს, საჭიროა თანადგომა და პრაქტიკული დახმარება. უსაქართველოდ ერთი დღეც, ერთი საათიც, ერთი წუთიც არ გვინდა სიცოცხლე აქაურ ქართველებს.

**ხოსო ბაგნიძე,**
**ცხინვალის რაიონი.**
**სოფელი თამარაშენი.**

ილუზიების სიცხადე

# ვის მიმართონ?

ქართველთა ისტორიულ ბედუკუღმართობაში მარტო გამუდმებული ბრძოლები და სისხლისღვრა არ იგულისხმებოდა. სიძნელეების გამო იყო ისიც, რომ ქართველები გვარს იცვლიდნენ, ან შეჭირვებული ცხოვრების გამო ბავშვებს სხვა ეროვნების ოჯახებზე აშვილებდნენ.

დღეს ქართველები დაკარგულ გვარებს იბრუნებენ.

ჩვენც გვინდა დავეხმაროთ ერთ ასეთ ქართველს — **შურა (მაურა) ხაჩატუროვას,** რომელიც 1933 წელს დაბადებულა სამტრედიის რაიონის სოფელ მარანში — დუნდუას ოჯახში. იგი ამჟამად ბათუმში ცხოვრობს. ჰყავს შვილი, შვილიშვილი, ქართველი რძალი.

თუ ვინმემ რაიმე იცის ამ ქალბატონის ნამდვილი მშობლებისა და ახლობლების შესახებ, გთხოვთ, გამოეხმაუროთ შემდეგ მისამართზე: **ბათუმი, გუდიაშვილის ქუჩა, სახლი № 20, ბინა 8.**

ამგვარი წერილები რედაქციაში მრავლად მოდის. ამიტომ, ვთხოვთ შესაბამის უწყებებს ჩვენი გაზეთის საშუალებით განუმარტონ მკითხველებს, თუ ვის უნდა მიმართონ, ან სად მივიდნენ მსგავს შემთხვევებში.

**საკუთარი ინფორმაცია**

## საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

# განცხადება

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ამასწინანდელ პლენუმზე გადაწყვიტა, რომ პარტიამ **მონაწილეობა მიიღოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში.** ამით იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მხარში უდგას რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს იმ პრობლემების გადაწყვეტაში, რომლებიც საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება.

ემზება რა წინასაარჩევნო კამპანიაში, საქართველოს კომპარტიას აქვს თავისი პოზიცია გარდამავალ პერიოდში რესპუბლიკის წინაშე მდგარი მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი, რომლებიც მკაფიოდაა გაცხადებული იმ წინასაარჩევო პროგრამაში, რომელიც უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების კამპანიის პროცესში გამოქვეყნდა.

**საქართველოს დამოუკიდებელი, ორგანიზაციულად და იდეურად განახლებული კომპარტია, რომელიც მყარად დგას ეროვნულ ნიადაგზე, კვლავაც საჯაროდ აცხადებს, რომ მისი არსებობის ერთადერთი მიზანია საქართველოს ინტერესების სამსახური.** იგი მზად არის ყოველმხრივ შეუწყოს ხელი დემოკრატიული პროცესების გაღრმავებას, სოციალური და ეროვნული სამართლიანობის დამკვიდრებას, სამეურნეო ცხოვრების ძირეულ გარდაქმნას, კანონისა და კანონიერების განმტკიცებას, ჩვენი ხალხის ზნეობრივ და კულტურულ აღორძინებას.

საქართველოს კომპარტია, რომელიც ესწრაფვის ჯანსაღი ეროვნული ძალების კონსოლიდაციას, ღიაა ყველა პოლიტიკურ პარტიასა და მოძრაობასთან კონსტრუქციული, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისათვის, სხვადასხვა აზრის, პოზიციის ყოველმხრივი განხილვისათვის, ერთიანი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავებისათვის. მას ღრმად სწამს, რომ მხოლოდ ასეთნაირად შეიძლება ჩვენი ხალხის წინაშე მდგარი სასიცოცხლო პრობლემების გონივრული, თანმიმდევრული გადაწყვეტისათვის საერთო ძალისხმევის გაერთიანება.

საარჩევნო კამპანიამ ფართო გზა უნდა გაუხსნას **სხვადასხვა თვალსაზრისს, სხვადასხვა შეხედულებას, იმაზე, თუ როგორ გვინდა მოვაწყოთ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, როგორი ურთიერთობა გვსურს, გვქონდეს ერთმანეთთან, მეზობელ ხალხებთან, სხვა სახელმწიფოებთან.**

ასეთ ვითარებაში, კომპარტიის აზრით, ყოვლად გაუმართლებელია არჩევნებში მონაწილე ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისა და მოძრაობისათვის ხელოვნური სიძნელეების შექმნა, მათი საარჩევნო უფლებების შეზღუდვა, უსაფუძვლო განცხადებებითა და უკანონო მოქმედებებით, სხვა არაკონსტიტუციური, არაცივილიზებული მეთოდების გამოყენებით მათი დისკრედიტაცია. ასეთ ფაქტებს კი მრავლად აქვს ადგილი კომპარტიის მიმართ. სამწუხაროა, რომ კანონსაწინააღმდეგო აქციებში ხელისუფლების სათავეში მყოფი ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. სამართალდამცველი ორგანოები კი, ფაქტობრივად, არაფერს აკეთებენ მათ ალსაკვეთად, პასუხისგებაში არ აძლევენ დამნაშავეებს, არ ცდილობენ მიტაცებულ მატერიალურ ფასეულობათა პატრონისათვის დაბრუნებას.

ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს საარჩევნო კამპანიაზე. ბევრ რეგიონში უკვე თქვეს უარი მუნიციპალური არჩევნებში მონაწილეობისათვის კომპარტიისაგან კანდიდატურების შერჩევასა და მათი სიების წარდგენაზე. უფრო მეტიც, ზოგიერთი რეგიონის პარტიული ორგანიზაცია საერთოდ უარს აცხადებს არჩევნებში მონაწილეობაზე.

ამიტომ საჭიროა, **ახლავე იქნას მიღებული ზომები იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას თითოეული პოლიტიკური პარტიის მოძრაობისა თუ პიროვნების საარჩევნო უფლებები, აღიკვეთოს მათ მიმართ ანტიკონსტიტუციური მოქმედებები.**

ყველას უნდა გვაერთიანებდეს ერთ იმიზანი — ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში უნდა ავირჩიოთ ღირსეული ადამიანები, ისინი, ვისაც ენდობა ჩვენი ხალხი, ვისი სიბრძნისა და გონიერებისა სწამს ჩვენს ხალხს.

არჩევანის გაკეთებისას მთავარი უნდა იყოს არა დეპუტატობის კანდიდატის პარტიული კუთვნილება, მისი სოციალური სტატუსი, სხვა თვისებები, არამედ მისი მამულიშვილური პოზიცია, უნარი, ემსახუროს საქართველოს კეთილდღეობას.

**პოლიტიკურ ბრძოლას მაღალი ზნეობა და რაინდული კეთილშობილება, ურთიერთპატივცემლური დამოკიდებულება უნდა ამშვენებდეს.**

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

# განცხადება

როგორც ცნობილია, საქართველოს უზენაესმა საბჭომ უარი განაცხადა 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობაზე და 31 მარტს ატარებს დამოუკიდებელ რეფერენდუმს საქართველოში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აცხადებს:
[illegible] მოსახლეობამ თა-
[illegible] უკვე გააკეთა 1918 წლის 26 მაისს და ეს არჩევანი იურიდიულად კვლავ ძალაშია. ამდენად, საქართველოში 31 მარტის რეფერენდუმის წარმატებით ჩატარების შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ დაადასტურებს ქართველი ერის მიერ 1918 წლის 26 მაისს გამოხატულ ნებას, რომელიც არავითარ დადასტურებას მისი იურიდიული უფლებამოსილებისათვის არ საჭიროებს. მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ რეფერენდუმში დამარცხება საქართველოსათვის კატასტროფის ტოლფასია, რადგან უარყოფითი შედეგი უდიდეს ზიანს მოუტანს ქართველი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და კრემლს კიდევ ერთ კოზირს ჩაუგდებს ხელში ქართველი ერის წინააღმდეგ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რეალურად აფასებს რა რეფერენდუმის ჩატარების შედეგად მიღებული მოგებისა ან წაგების თანაფარდობას, საქართველოში ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებას მიიჩნევს პოლიტიკურად არასწორ ნაბიჯად, რადგან იგი გაუმართლებელ რისკთან არის დაკავშირებული, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე საოკუპაციო ჯარის ყოფნის პირობებში არ არსებობს რეფერენდუმის შედეგების დაუმახინჯებლად შეჯამების არავითარი გარანტია.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რეალურად აფასებს რა ქართველი ერის დამოკიდებულებას 31 მარტის რეფერენდუმისადმი, თვლის, რომ მისთვის ბოიკოტის გამოცხადება დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ფრიად სარისკო ნაბიჯია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, თავისი პოზიციის მიუხედავად, აცნობიერებს რა რეფერენდუმის შესაძლო მარცხით დამთავრების სავალალო შედეგებს, მოუწოდებს მთელი საქართველოს მოსახლეობას, ხმა მისცეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, რათა თავიდან იქნას აცილებული კრემლისათვის ესოდენ სასურველი და საქართველოსათვის დამღუპველი უარყოფითი შედეგი.

ამასთან, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია შეახსენებს საქართველოს მოსახლეობას, რომ ამ რეფერენდუმში გამარჯვება მხოლოდ დადასტურებაა 1918 წლის 26 მაისს გამოხატული ნებისა და ვერავითარ შემთხვევაში ეს გამარჯვება დამოუკიდებლობის აღდგენის ტოლფასი ვერ იქნება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოხდება მხოლოდ საქართველოს სრული დეოკუპაციის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იღუმენი ფილარეტი — „ზნეობითი ღვთისმეტყველების კონსპექტი“

## XXII თავი

**ქრისტიანობის გავლენა ცხოვრების ყველა მხარეზე. ქრისტიანული ოჯახი. ურთიერთობა ცოლ-ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის. სამოქალაქო და სულიერი ხელისუფლების პატივისცემა.**

ქრისტიანობის ძირითადი მიზანია ადამიანებს ასწავლოს ღვთის ნების მიხედვით ცხოვრება, რათა ამ გზით მათ მარადიულ ნეტარებას მიაღწიონ. ამაოდ ცდილობენ ზოგიერთები ქრისტიანობის რელიგიური განცდების ვიწრო სფერომდე დაყვანას. ქრისტიანობა არის ცხოვრება. იგი ახლებურ იერს სძენს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებს, მისი გავლენა ცხოვრებაზე უდავოა და უეჭველია ყოველი მიკერძოებული ადამიანისათვის.

საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს დროში ადამიანთა ცხოვრება და ქცევა შორს არის ქრისტიანული იდეალებისაგან, მათი შეხედულებები და წარმოდგენები ქრისტიანული ტიპის მიხედვით არის ფორმირებული. მეცნიერებისა და ხელოვნების საუკეთესო, სინდისიერ მოღვაწეთა შრომები და ნაწარმოებები აშკარად ქრისტიანობის ნიშნებს ატარებენ. ცხადია, ქრისტიანობას უნდა უმადლოდეს იმგვარი სასიკეთო მოვლენები, როგორიცაა მონობის მოსპობა, სხვადასხვა განმანათლებლური და საქველმოქმედო ორგანიზაციების დაარსება და ა. შ. თუმცა, შესაძლოა, ქრისტიანობის გარდამსახველი და აღმზრდელობითი გავლენა ყველაზე მეტად ოჯახმა, საზოგადოებრივი წყობის ამ უპირველესმა უჯრედმა განიცადა. ქრისტიანისათვის, უდავოდ, უდიდესი და საპასუხისმგებლო საქმეა თავისი ცხოვრების მეგობრის არჩევა. ქრისტიანული ქორწინების შესახებ ღვთის სიტყვა ამბობს: „და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“ (მათ. 19,5). მეუღლეები თითქოს ერთ ორგანიზმს, ერთ სიცოცხლეს შეადგენენ. ქრისტიანი ცოლი, პირველ ყოვლისა ქმარზე ფიქრობს და მხოლოდ შემდეგ — საკუთარ თავზე. ასევე ქმარიც, — ჯერ ცოლზე ზრუნავს და შემდეგ — საკუთარ თავზე.

ასეთი ქრისტიანულ-ცოლ-ქმრული კავშირი უფალმა ღვთიური სიტყვით შეაერთა: „აწ-უკუე რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს“ (მათ. 19,6).

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ქორწინების დროს მეუღლეთა სიყვარულს ისეთივე უანგარო, თავდადებული ხასიათი აქვს, როგორითაც საერთოდ ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული გამოირჩევა. პავლე მოციქული მეუღლეთა ურთიერთობას ადარებს ქრისტესა და ეკლესიის კავშირს. იგი ამბობს: „ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თავისი მისცა მისთვის“. (ეფეს. V, 25). ქრისტიანულ ქორწინებაში მოსიყვარულე პიროვნებების ერთობა იმდენად ყოვლისმომცველია და სრული, ერთმანეთის ერთგულება ისეთი ღრმაა და ეჭვმიუტანელი, რომ მეუღლეები ყველაფრით ემსგავსებიან ერთმანეთს და ხშირად, სიბერის ჟამს გარეგნულადაც კი ჰგვანან ერთურთს. მათი ცხოვრება სრული თანხმობით მიედინება, ისინი სრულიად არიან მინდობილნი ქრისტეს და მისი ეკლესიის მცნებებს.

მაგრამ, რაოდენ მძიმეა, როდესაც ვხედავთ ჩვენს დროში ახალგაზრდობის წინდაუხედავ, გაუფრთხილებელ, უგუნურ და სრულიად არაქრისტიანულ დამოკიდებულებას ამ უაღრესად სერიოზული საკითხისადმი. ხშირად ვხედავთ, რომ ქორწინება ეყრდნობა არა ღრმა, ნაცად სიყვარულს, არამედ არასერიოზულ და ზედაპირულ გრძნობას. ხშირად ასეთი გატაცების საფუძველი, სამწუხაროდ, არის მხოლოდ ხორციელი ვნება და „სისხლის ახალგაზრდული მღელვარება“ (და ზოგჯერ ახალგაზრდული კი არა, არამედ ამღვრეულისა და ბინძურის).

ასეთი „შეუღლების“ დროს, დაქორწინებას წინ უსწრებს თვალთმაქცობა, სხეულის და სულის ხელოვნური გალამაზებისათვის ზრუნვა, სურვილი იმისა, რომ იმაზე უკეთესად და ლამაზად გამოჩნდე, ვიდრე სინამდვილეში ხარ. მაგრამ ცხოვრება ხომ მხოლოდ ჭეშმარიტებაზე შეიძლება აიგოს, სიცრუეზე იგი დიდხანს ვერ გაძლებს. ამის გამოა ასეთი ხშირი გულისაცრუება ერთმანეთის მიმართ და განქორწინება. ვინ არ იცის, რომ ჩვენს დროში ამგვარი „შეყვარება“, ჩვეულებისამებრ, „სამოქალაქო ქორწინებით“ მთავრდება, ე. ი. უკანონო კავშირით, მე-7 მცნების გამოდმებული დარღვევით, რომლის გამოც ეკლესია წმიდა საიდუმლოთა მიღებისაგან განაყენებს ბრალეულს. ეს ყველაფერი კი, როგორც წესი, ტრაგიკულად მთავრდება — არა მარტო დავით, დანაშაულითაც — მკვლელობით და თვითმკვლელობით.

ქრისტიანული ქორწინება არის ორი ადამიანის ცხოვრება ერთობაში. რაც დრო გადის, ასეთ ქორწინებაში ცოლ-ქმრული სიყვარული მხოლოდ ძლიერდება, ღრმავდება, უფრო სულიერი ხდება. რა თქმა უნდა, ქრისტიანულ ცოლ-ქმრულ სიყვარულში, აუცილებელი პირობაა ხორციელი სიყვარულიც, რომელიც ყოველი ადამიანისათვის ბუნებრივ სქესობრივ მიდრეკილებას და საწინააღმდეგო სქესისადმი ლტოლვას უკავშირდება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ჭეშმარიტად ქრისტიანულ ქორწინებაში ხორციელი სიყვარული ცოლ-ქმრის ურთიერთობის მხოლოდ ერთ-ერთი პირობაა და არასოდეს არა აქვს ისეთი მნიშვნელობა და ძალა, როგორც არაქრისტიანულ ქორწინებაში. წმიდათა ცხოვრებაში ჩვენ გვხვდება მრავალი მაგალითი, როდესაც ქრისტიანი მეუღლეები უარს ამბობდნენ სქესობრივ ცხოვრებაზე ან დაქორწინებისთანავე, ან მოგვიანებით. აღსანიშნავია, რომ ამგვარ ქორწინებაში, როდესაც მოღვაწე ცოლ-ქმარი და-ძმასავით ცხოვრობენ, მათი ურთიერთსიყვარული განსაკუთრებული სიძლიერით, ერთგულებით და ურთიერთპატივისცემით გამოირჩევა. ამგვარად განაბრწყინა, აღამაღლა და გადაასხვაფერა ქრისტიანობამ ქორწინება.

ქრისტიანული ოჯახი გარდა მეუღლეებისა, მშობლებსა და შვილებსაც გულისხმობს, ქრისტიანულ იერს იძენს მათი ურთიერთობაც.

ყველა კარგი ოჯახი ერთობლივი ოჯახური ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. პირადულზე უფრო მაღლა მასში უნდა იდგეს ის, რაც საერთოა. ოჯახის ყველა წევრი ხომ საერთო გვარს ატარებს—ასეთივე საერთო და მეგობრული ცხოვრებით უნდა ცხოვრობდნენ ისინი.

ოჯახის უფროსად, ჩვეულებრივ, მიჩნეულია ქმარი. მასზე და მის შრომაზეა დაფუძნებული ოჯახის კეთილდღეობა. ოჯახისათვის ზრუნვა მისი უპირველესი მოვალეობაა. მათზე, ვინც არ ზრუნავს ოჯახზე, პავლე მოციქული მოკლედ, მაგრამ უაღრესად შემაგონებლად ბრძანებს: „ხოლო უკუეთუ ვინმე თვისთა და უფროისღა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარ-უყოფიეს და არს იგი ურწმუნოისა უძვირეს“ (I ტიმ. V, 8).

ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ მშობლები თავის შვილებს აყენებენ ისეთ გზაზე, რაც მათ მიდრეკილებებს და სურვილებს ეწინააღმდეგება. ზოგჯერ კი უკიდურესად უსამართლონი არიან. ამის საწინააღმდეგოდ პავლე მოციქული დაუფარავად ამბობს: „მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, რაითა არა იურვოდიან (კოლ. III, 21), არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისაითა“ (ეფეს. მიმართ VI, 4). მართლაც, გადაჭარბებული მომთხოვნელობა ბავშვებში ჭმუნვასა და მწუხარებას აღძრავს, მით უმეტეს, უსამართლობა. ბავშვისთვის მამა უმაღლესი ავტორიტეტია და უბედურება ხდება მაშინ, როდესაც ეს ავტორიტეტი უპირისპირდება სიმართლის გრძნობას, რომელიც ბავშვში გაცილებით ძლიერია, ვიდრე უფროსებში. იქმნება ბავშვის სულისათვის გამოუვალი მდგომარეობა. მაგრამ კიდევ უარესია, როდესაც მშობლები ზედმეტად ანებივრებენ ბავშვებს, ზედმეტად მომთმენნი არიან მათ მიმართ და ხშირად ტოვებენ უმეთვალყუროდ. ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ზნეობრივი გადაგვარება — მით უმეტეს, რომ ღვთის სიტყვა ავალდებულებს მშობლებს აღზარდონ ბავშვები უფლის მცნებათა მიხედვით.

ბავშვის აღზრდა, რასაკვირველია, უპირატესად დედის მოვალეობაა და ბუნებრივია, რომ არავინ არ არის ბავშვის სულთან და გულთან ისე ახლოს, როგორც დედა. დედისაკენ მირბის ბავშვი და დედას უხმობს იგი, როდესაც აწყენინებენ. დედის მიზანია, აღზარდოს ბავშვი, როგორც მორწმუნე ქრისტიანი, კეთილი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე, ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის გამოსადეგი. დედამ უნდა აღზარდოს შვილი სიტყვითაც, მაგალითითაც, ალერსითაც და სიმკაცრითაც. ქმარმა უნდა დააფასოს ცოლის ეს უდიდესი შრომა. ბავშვის აღზრდა არის დედისთვის უფლის მსახურების სარბიელი. ეს შრომა არაფრით არ არის ნაკლებად მნიშვნელოვანი ქმრის ოჯახისთვის შრომაზე. სირცხვილი ისეთ დედებს, რომლებსაც უმძიმთ თავისი შვილების აღზრდა და ხშირად მათ მთლიანად დაქირავებულ პირებს ანდობენ ხოლმე! მათ ავიწყდებათ, რომ ბავშვის სული იოლად შეიძლება დააზიანო და დააბინძურო. ან კი ვის შეუძლია შეუცვალოს ბავშვს მშობელი დედა?!

მშობლებზე ნაკლებად არც შვილებს მოეთხოვებათ თავიანთი მოვალეობის აღსრულება. ყველასათვის ცნობილია ღვთის სჯულის მეხუთე მცნება მშობლების პატივისცემის შესახებ. პავლე მოციქული წერს: „შვილნი მორჩილ იყვენით მამათა-დედათა თქუენთა უფლისა მიერ, რამეთუ ესე არს სამართალ“. (ეფეს. VI, 1).

ეს მოთხოვნა, რა თქმა უნდა, სამართლიანობას ეფუძნება. შვილები ხომ ყველაფერს უნდა უმადლოდნენ მშობლებს, რომლებიც სიყვარულით ზრუნავენ მათზე; შრომობენ მათთვის, ბევრ რამეს იკლებენ მათი გულისათვის და ხშირად უწევენ დახმარებას მაშინაც კი, როცა ისინი ზრდასრულნი და დამოუკიდებელნი ხდებიან.

მაგრამ ჩვენს დროში ხშირად ირღვევა მე-5 მცნება. ის შვილებიც კი, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ გულწრფელად და ძლიერ უყვართ მშობლები, ხშირად არ არიან დამჯერნი და აქედან გამომდინარე, პატივს არ სცემენ მათ. სიყვარული ყოველთვის მორჩილებასთან არის დაკავშირებული. რაც უფრო იზრდებიან ასეთი ბავშვები, სამწუხაროდ, მით უფრო თავნებები ხდებიან, უხეშად ეპყრობიან მშობლებს, დაუფარავად ადანაშაულებენ მათ „ჩამორჩენილობაში“ და ფეხქვეშ თელავენ მათ ავტორიტეტს. ნუთუ ეს არის მშობლების პატივისცემა? ძველ აღთქმაში ხომ პირდაპირ არის ნათქვამი: „რომელმან სცეს მამასა თვისსა, ანუ დედასა, სიკუდილით მოკუდეს“ (გამოსლვ. 21, 15). ხოლო სახარებაში მაცხოვარი გვახსენებს ამ კანონს და ღვთის მცნებას უწოდებს მას. რამდენი მაგალითია ცხოვრებიდან ცნობილი, როდესაც უფალი მძიმედ (ზოგჯერ სიკვდილითაც) სჯიდა დედის და მამის შეურაცხმყოფელს. ამაოდ არ არის ნათქვამი, რომ „დედის ლოცვა წყლისა და ცეცხლისგანაც დაიფარავს კაცს“ და „მშობლების კურთხევა შვილების სახლს განამტკიცებს“. მეორე მხრივ, ვინ არ იცის, რა საშინელი უბედურებაა დედის ან მამის წყევლა.

ამგვარად, მე-5 მცნების ძირითადი აზრი არის მშობლების პატივისცემა, თუმცა ეს მცნება ეხება იმათაც, ვინც ქრისტიანისთვის მშობლის ადგილს იკავებს: მასწავლებელს, აღმზრდელს და ა. შ. განსაკუთრებით იგი ეხება კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც სახელმწიფოში წესრიგს იცავენ. პავლე მოციქული მოგვიწოდებს ვილოცოთ „მეფეთათვის და ყოველთა მთავართა“ (1 ტიმ. 2, 2) და თავის სხვადასხვა ეპისტოლეებში ხელისუფლებისადმი მორჩილებას ასწავლის. ქრისტიანისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სულიერი „იერარქიის“ — ეკლესიის მწყემსთა პატივისცემა, განსაკუთრებით კი ეპისკოპოსებისა და აგრეთვე იმ მოძღვრისა, რომელიც მისი სულიერი მამაა და ღვთის წინაშე აგებს პასუხს მისი სულისათვის. პავლე მოციქული ამბობს: „დაემორჩილენით წინამძღუართა თქუენთა და ერჩდით მათ, რამეთუ იგინი ღვიძებენ სულთა თქუენთათვის, ვითარცა იგი სიტყუაი მისცენ“ (ებრ. მიმართ XIII, 17).

თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს და მათი სახით, ეკლესიის მწყემსებს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეურაცხ-მყოფს“ (ლუკა 10, 16).

**ითარგმნა თბილისის სასულიერო აკადემიის ქრისტიანული ანთროპოლოგიის კათედრაზე.**

**იბეჭდება მამა არჩილის რეკომენდაციით.**

# ქველმოქმედება... თანხით არ იზომება

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სააქტო დარბაზისათვის ხალხმრავლობა უცხო არ არის, მაგრამ შეკრება, რომელზედაც გვინდა გიამბოთ, მაინც საოცრად განსაკუთრებული და გამორჩეული იყო. განსაკუთრებული იყო იგი თავისი კეთილშობილური მიზნით, ამაღლებული განწყობილებით, სევდანარევი, ტკბილ-მწარე მხიარულებით. ამ დღეს აქ სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-შემოქმედებითმა ასოციაციამ „ამაღლება“ (თავმჯდომარე გელა კობეშავიძე) ჩაატარა საქველმოქმედო კონკურსი „ჩვენ და საქართველო“, რომლის შემოსავალი სრულად მოხმარდა მძიმე ქრონიკული სენით დაავადებულ ბავშვებს (ღონისძიების თავისებურების გამო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორატმა არ მოითხოვა სააქტო დარბაზის დაქირავების თანხა და ამით თვითონვე გამოიჩინა ქველმოქმედება).

კონკურსის მიზანი იყო გამოევლინა მოზარდთა ინტერესი ქართული მხატვრული ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის, ქართული ეკლესიის და რელიგიის ისტორიისადმი და ამით ხელი შეეწყო მათში ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმისათვის.

კონკურსში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გლდანის 39-ე საშუალო სკოლის და ვაკის 165-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები (სკოლის დირექტორები: ავთანდილ ქლენტი, ნოდარ კირვალიძე).

უნდა ითქვას, რომ მონაწილე მხარეები დიდი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ კონკურსისათვის მზადებას. მათ სწორად შეარჩიეს კონკურსის მონაწილეთა კანდიდატურები. როგორც ერთი, ისე მეორე სკოლის მოსწავლეები ამჟღავნებდნენ მშობლიური ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის საფუძვლიან ცოდნას, შემოქმედებით ნიჭს, გამომგონებლობით უნარს, გონებამახვილობასა და იუმორის გრძნობას.

და მაინც, ხუთკაციანმა კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელიც თვით ასოციაცია „ამაღლების“ წევრებით იყო დაკომპლექტებული, გამარჯვებულად 39-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები სცნო და შესაბამისად, ამ სკოლის ხელმძღვანელობას გადასცა პრიზი.

ის დიდი ინტერესი, რაც დარბაზმა გამოიჩინა კონკურსის მსვლელობისადმი, გარკვეულწილად განაპირობა მისი წამყვანის ირაკლი მარგველაშვილის იუმორისტულმა ნიჭმა და დახვეწილმა გემოვნებამ.

ქების სიტყვებითაა მოსახსენებელი ამ ჰუმანური ღონისძიების ორგანიზატორი, სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ასოციაცია „ამაღლება“ და ამ ღონისძიების სპონსორები: ფირმა „მარაბდა“ (თავმჯდომარე ზაურ კობეშავიძე), სამრეწველო-სამკერვალო კოოპერატივი „მზეკაბანი“ (თავმჯდომარე მ. ადეიშვილი) და მცირე საწარმოთა გაერთიანება „აია“ (თავმჯდომარე ვიქტორ ცაავა), რომლებმაც პრიზები გადასცეს ორივე გუნდის კაპიტნებს.

როგორც ჩვენთან საუბარში განაცხადა ასოციაციის თავმჯდომარემ ბატონმა გელა კობეშავიძემ, ასოციაციას ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს მომავლისთვისაც. ოღონდ იგი სთხოვს ჩვენს თანამოქალაქეებს არ დაინანონ თანხა იმ ბილეთის შესაძენად, რომელიც ამ კონკურსზე დასწრების უფლებას იძლევა და რომელიც დიდ და კეთილშობილურ საქმეს ხმარდება. თავის მხრივ, იგი თვლის, რომ მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებები მომავალში კიდევ უფრო მეტ ესთეტიკურ და შემეცნებით სიამოვნებას მიანიჭებს მაყურებელს.

ჩვენი ეს მოკლე ინფორმაცია გვინდა დავამთავროთ კონკურსის ერთ-ერთი მაყურებლის სიტყვებით: ამ ღონისძიებიდან რაღაც უფრო ამაღლებული, გაკეთილშობილებული, განწმენდილი გამოვედი, ისეთი განცდა მაქვს, თითქოს იმ მცირეოდენი თანხით, რომელიც მე ბილეთში გადავიხადე, რაღაც დიდი და კარგი საქმე გამეკეთებინოს.

ეს, ალბათ, ასეცაა, რადგან სიკეთე და ქველმოქმედება, ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა ხომ თანხით არ იზომება.

**თამარ ბალანჩივაძე,**
**ასოციაცია „ამაღლების“ წევრი.**

# სსრკ დედაქალაქის კონტრასტები

## ანუ „უიკ-ენდ“-ი მოსკოვში














მოსკოვში ფოტოხელოვნებაში აღიარებული ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფირმის — „ნიკონის“ გამოფენის გახსნაზე მიმიწვიეს, მაგრამ ჩემი იქ ყოფნა ბევრად უფრო მნიშვნელოვან მოვლენას— მანეჟის მოედანზე მოძრაობა „დემოკრატიული რუსეთის“ ინიციატივით გამართულ გრანდიოზულ მიტინგს დაემთხვა და მეც პირველ რიგში სწორედ მასზე შევაჩერე ფოტოობიექტივი. მიტინგის ამსახველ დოკუმენტურ კადრებს დღეს ვთავაზობ მკითხველს, სიტყვით კი იმას დავსძენ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული მიტინგი „პერესტროიკის“ მთელი ექვს წლის მანძილზე. 10 მარტს მილიონამდე მოსკოველი გამოვიდა ქუჩებში, რათა მხარი დაეჭირა ბორის ელცინისათვის და პროტესტი გამოეთქვა მოახლოებული დიქტატორული რეჟიმის გამო „მოითხოვოს პასუხი ლუკიანოვს ბორის ელცინის ცილისწამებისათვის“, „საკუთარი თავის გარდა ვერავინ გვიხსნის წითელი ჭირისაგან“, „ჯარისკაცები ხოცავენ, დედები კი მარხავენ“. „უარი ვუთხრათ გორბაჩოვის რეფერენდუმს“ — აი, ასეთი პლაკატები და ტრანსპარანტები მოჰქონდათ მოსკოველებს, რომლებმაც იმ დღეს „აქტიურ“ საბჭოურ დასვენებას პოლიტიკური „უიკ-ენდ“-ი ამჯობინეს. მიტინგზე შეკრებილთ მოასმენინეს ბორის ელცინის გამოსვლის ჩანაწერი, რომელიც მან კინოს სახლში გააკეთა, სიტყვით გამოვიდნენ გ. პოპოვი, ს. სტანკევიჩი, ტ. გდლიანი, ნ. ტრავკინი; მიტინგზე მოვიდნენ კუზბასიდან ჩამოსული მეშახტეთა საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებმაც ხაზი გაუსვეს მეშახტეთა გაფიცვის პოლიტიკურ ხასიათს და გორბაჩოვს ნებაყოფლობითი გადადგომისაკენ მოუწოდეს.

მოსკოველ მომიტინგეებს, თავიანთი ხმა შეუერთეს მოსკოვის ქართული სათვისტომოს წევრებმა ლევან ფეხვიანიძემ, გია კაკაბაძემ, როინ კონჯარიამ, გია მერკვილიშვილმა, გოგი ბასიშვილმა, ნოდარ ბერიძემ, ნუგზარ შუნგელიამ და სხვებმა, რომელთაც ამაყად აღემართათ საქართველოს ეროვნული დროშა. მათ გვერდით იყვნენ საქართველოდან ჩამოსული მწერლები—გურამ გვერდწითელი, რევაზ მიშველაძე, გიორგი გაჩეჩილაძე, მზია ხეთაგური და სხვა ეროვნების ადამიანები, რომლებიც მიტინგის მოს... [illegible] უშუალოდ გადასცემდნენ სიმართლეს სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. მიტინგის მსვლელობა გადაიღეს მოსკოვში აკრედიტებულმა მრავალრიცხოვანმა ჟურნალისტებმა. იმ დღეს მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ პროგრესული მოსკოვი მზად არის დემოკრატიის დასაცავად.

**თამაზ ბიბილური**

რეჟისორი, საქართველოს ფოტოჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი.

ავტორის ფოტოები.



# ეს საოცრად მართალია...

## ანუ

## საჯაროდ გამხელილი სიყვარული პროფესორ ნოდარ ტაბიძეს

ბატონო ნოდარ!

ალბათ, გახსოვთ: ერთ-ერთი დაბადების დღე თქვენმა სტუდენტებმა ასე მოგილოცეთ: „ეს საოცრად მართალია: ძალიან გვიყვარხართ“...

ამ წრფელი მილოცვის პირველი ფრაზით, ყოველი შემთხვევისათვის, „თავი დავიზღვიეთ“ თქვენი განუყრელი ირონიისაგან, რომლითაც ჩვენს „შემოქმედებას“ ხშირად „ამკობდით“ ხოლმე — თავისებურად „ეშმაკური“ (ჩვენ „გალაკტიონისეულს“ ვეძახდით) ღიმილით და ამ სიტყვებით: „ეს საოცრად ყალბია!“...

გულახდილად რომ ვთქვათ, თავდაპირველად გვაღიზიანებდა კიდეც ეს „ულმობელი ირონია“, მაგრამ მალე მივხვდით, რომ ის თქვენთვის მეთოდი იყო, რათა გესწავლებინათ, თუ როგორ არ უნდა წერო...

ასეთი „ულმობელი“ მეთოდი კი თქვენ მრავლად გქონდათ, რითაც არაჩვეულებრივ შედეგებს აღწევდით.

და, თუ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკას პროფესიონალიზმის ბეჭედი აზის, აქ თქვენი დიდი წვლილია, რადგან მას უკვე თქვენი აღზრდილები ქმნიან.

ბატონო ნოდარ!

მართალია, სტუდენტები უკვე აღარა ვართ, მაგრამ თქვენს შეგირდებად და უმცროს მეგობრებად მარადის დავრჩებით. ამიტომაც ხშირად მოვაშურებთ ხოლმე თქვენსკენ რჩევისათვის, სიხარულისა თუ გულისტკივილის გასაზიარებლად, ანდა ისე, უბრალოდ, „მეგობრობის კოცონისათვის ცეცხლის შესაკეთებლად“...

თქვენ გიყვართ თქმა: „ყოველი სტუდენტი საიდუმლო კუნძულია, რომელიც უნდა აღმოაჩინო“.

ჩვენ უკვე ბევრი ვართ და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი თაობა შემოემატება ჩვენს სამეგობროს.

ბატონო ნოდარ!

დღეს თქვენი დაბადების დღეა: „ტოტებს ქარისას“ მესამოცე „გადაჰყვა მარტი“ (აღარ გვეშინია თქვენი „ირონიის“).

გვინდა, საჯაროდ გამხელილი სიყვარულით მოგილოცოთ საიუბილეო თარიღი და უბრალოდ, შეგახსენოთ: წინ კიდევ ბევრი „საიდუმლო კუნძულია“ აღმოსაჩენი და თქვენ ძლიერ სჭირდებით ქართულ უნივერსიტეტს, ქართულ ჟურნალისტიკას.

და კიდევ:



„ერთგულება რჩება მარადის, ისევე, როგორც სიყვარული და სილამაზე“.

მერაბ ბალარჯიშვილი, ბიგლა ბოზეჩია, მარინე ვაშაყმაძე, ნაირა მახაშვილი, რუსუდან ნიკურაძე, აკაკი სიხარულიძე, მამუკა ფაჩუაშვილი, ბონდო ქურდაძე, იოსებ ჭუმბურიძე.



# გამოვიდა „მოკლე ეკონომიკური ლექსიკონი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეკვეთით გამომცემლობა „საქართველომ“ დასტამბა დოცენტ ზაურ ჩქვანავას მიერ შედგენილი „მოკლე ეკონომიკური ლექსიკონი“, წიგნი ყურადღებას იპყრობს არა მარტო იმით, რომ ასეთი ნაშრომი პირველად გამოდის ქართულ ენაზე, არამედ განსაკუთრებით იმით, რომ იგი მომზადდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების უძრაობის პერიოდში, ხოლო გამოიცა საზოგადოებრივ ურთიერთობათა მწვავე კოლიზიების ვითარებაში.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ლექსიკონი უწინარესად თეორიულ-პრაქტიკული ხასიათისაა, მასში მკითხველი გაეცნობა საარსებო საშუალებათა წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ამსახველი ეკონომიკური ურთიერთობების ფართო სპექტრს. წიგნი ფაქტიურად მოიცავს ენციკლოპედიურ მასალას ეკონომიკის სფეროში, რომელიც ვლინდება სამეურნეო მექანიზმების, საიჯარო და სამეწარმეო საქმიანობის, საფინანსო, საკრედიტო, სავალუტო, სააქციო, საბანკო, საბაზრო, საინვესტიციო თუ საკუთრებრივი ურთიერთობების, მარკეტინგის, ბიზნესის, მენეჯმენტის, შრომისა და დასაქმების, მიწათმოქმედების, რენტის, დივიდენდების. საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის, კორპორაციების თუ კონსორციუმების, ღირებულების, მოგების ხელფასების თუ ფასების ლაკონურ განსაზღვრებებში.

სალექსიკონო ლიტერატურაში პირველადაა წარმოდგენილი ან ახლებურადაა გაშუქებული ეკონომიკური კონსულტაცია, რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ადამიანის ფაქტორი, ადამიანის ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური კრიზისები, ეკონომიკური წინააღმდეგობები, ეკონომიკური თეორიები, პლურალიზმი, პოლიტოლოგია, მართვის ეკონომიკური მეთოდები და ბევრი სხვა ცნება. თუ დეფინაცია.

წიგნის გამოყენების სფერო არ იზღუდება მხოლოდ ეკონომისტებისა და სამეურნეო-საფინანსო მუშაკების საქმიანობით. იგი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. დასანანია, რომ „მოკლე ეკონომიკური ლექსიკონი“ გამოიცა შეზღუდული ტირაჟით. ამასთან, ფინანსური წინააღმდეგობის გამო იგი ვერ გავიდა სარეალიზაციოდ საწიგნის მაღაზიებში. წიგნის შეძენის მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრას (ტელ.: 36-60-58, 36-63-36, 36-16-00).

**აქვე ნიმუშის სახით გთავაზობთ საქმიანი ტერმინების მოკლე და ტევადი განსაზღვრის რამდენიმე მაგალითს:**

**აქციაა** (ლათ. actio — განკარგულება) — სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდი, რომელიც ასაბუთებს გარკვეული ფულადი თანხის შეტანას ამ საზოგადოების კაპიტალში და მის მფლობელს აძლევს უფლებას სააქციო საზოგადოების საერთო მოგებიდან მიიღოს გარკვეული შემოსავალი — დივიდენდი.

**დამფუძნებელთა მოგება** — მოგება, რომელსაც ღებულობენ სააქციო საზოგადოების დამფუძნებლები და უდრის სხვაობას სააქციო საზოგადოების დაარსების დროს გამოშვებული აქციების ფასების ჯამსა და საწარმოში ფაქტიურად დაბანდებული კაპიტალის თანხას შორის.

**ბირჟა** (ლათ. burza — საფულე, ქისა) — მასობრივი ერთგვაროვანი საქონლის, ფასიანი ქაღალდების (აქციები, ობლიგაციები) ან უცხოური ვალუტის რეგულარულად მოქმედი საბითუმო ბაზრის თანამედროვე განვითარებული ფორმა. ცნობილია საქონლური, საფონდო, შრომის და სავალუტო ბირჟები.

**კვოტა** (გვიან; ლათ. guota — წვლილი — კარტელის ან სინდიკატის ტიპის გაერთიანების მიერ ყოველი წევრისათვის პროდუქციის საერთო წარმოებისა და გასაღების დადგენილი წილი, რომლის მიხედვით წარმოებს მათ შორის მოგების განაწილება, გადასახადის ოდენობის განსაზღვრა და ამა თუ იმ ნიშნით დაშვებული სხვა ნორმების გამოთვლა.

# სხვა გაზეთებიდან

(დასასრული)

## ჯაშუშობაც ამას ჰქვია

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მოსკოვმა ნამდვილი თავსატეხი გაუჩინა ამერიკელებს.

როგორც ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ განაცხადა („არგუმენტი ი ფაკტი“, № 11, 1991 წ.), საბჭოთა მშენებლების მიერ მოსკოვში აგებული ამერიკის ახალი საელჩოს შენობა ისეთი დახვეწილი კონსტრუქციების მოსასმენი მოწყობილობებითაა „დატენილი“, რომ ამერიკის დაზვერვამ ვერაფრით შესძლო მათი ბოლომდე გამომჟღავნება.

მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა საელჩოს ახალ შენობაზე სამსართულიანი დაშენების ნება ითხოვა. ამ ახალი, გეგმით რვასართულიანი შენობის ბოლო სართული უნდა მოიშალოს და შემდეგ დაეშენოს სამივე ახალი სართული. ოღონდ — მხოლოდ ამერიკული სამშენებლო მასალების, ამერიკელი მშენებლების და ამერიკული კონტროლის მეშვეობით. მშენებლობა 200 მილიონი დოლარი დაჯდება და 2 წელს გასტანს.

ამერიკის დაზვერვის სამსახურები არ იწონებდნენ დაშენების გეგმას, ერთ-ერთი სენატორის მტკიცებით, საბჭოთა მოსასმენი მოწყობილობანი ნებისმიერ ახალ სამშენებლო კონსტრუქციას აქცევს ერთ „დიდ ანტენად“...

## ვინლა იყიდის საბჭოთა იარაღს?

ვინლა იყიდის საბჭოთა იარაღს ერაყის არმიის ასეთი დამანგრეველი მარცხის შემდეგ? — სვამს კითხვას ამერიკული ტელეკომპანია „სი-ბი-ეს“-ი („პრავდა“, № 61, 1991 წ.). არადა, ამ იარაღს — ტანკებსა და სხვა ტექნიკას — ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე რომ იგზავნებოდა ერაყში, მილიარდობით დოლარი მოჰქონდა საბჭოთა კავშირისათვის

საბჭოთა კავშირისათვის, — განაგრძობს „სი-ბი-ეს“-ი, — ეს ურთულესი პრობლემაა, რადგან ნავთობისა და გაზის შემდეგ სწორედ იარაღის ექსპორტია მისთვის ვალუტის შემოტანის ერთ-ერთი მთავარი წყარო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ბოლო ხანებში კავშირში ნავთობის წარმოებაც ეცემა, კიდევ უფრო ნათელი გახდება ზარალი, რომელიც კავშირის ისედაც დასუსტებულ ეკონომიკას მიადგება. საბჭოები ამტკიცებენ, ერაყმა არ იცოდა (?!) საბჭოთა იარაღის გამოყენება და არც საბჭოთა შეიარაღების საუკეთესო სისტემები ჰქონდაო. თუ ეს მართლაც ასეა, — ასკვნის ბოლოს ტელეკომპანია, — მოსკოვს უთუოდ მოუწევს საქმისადმი მიდგომის შეცვლა, რადგან სხვაგვარად ვერაფრით გაუძლებს იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო ბაზარზე შექმნილ უმწვავეს კონკურენციას.

## იზრდება თვითმკვლელთა რიცხვი

ალტაის მხარეში მკვეთრად გაიზარდა თვითმკვლელობის შემთხვევები. „სიბირინფორმის“ სააგენტოს ცნობით, გასულ წელს ამ მხარეში თვითმკვლელობის 20 შემთხვევა მოხდა, წელს მარტო იანვარში კი უკვე 65 კაცმა მოიკლა თავი. ბევრი ამის მიზეზად ცხოვრების დონის გამუდმებულ დაქვეითებასა და მომავლისადმი რწმენის დაკარგვას ასახელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1957 წლის 16 ნოემბერს „ახალგაზრდა კომუნისტში“ ცნობილი ფოტოხელოვანის ნიკოლოზ ხალარაძის შესახებ გამოქვეყნდა ილია ბახტაძის წერილი „მრავლის მნახველი და აღმნუსხველი“. ავტორი წერდა: „რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მის მიერ გადაღებული და გავრცელებული 7000 სურათი ამ ღვაწლმოსილმა ოთხმოცი წლის მოხუცმა უფასოდ გადასცა საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს.

ეს ძვირფასი საჩუქარი დიდ დახმარებას გაუწევს ყველას, ვისაც ჩვენი ერის კულტურული ცხოვრება აინტერესებს“. წერილს თან ახლდა ნ. ხალარაძის მიერ გადაღებული უნიკალური ფოტო წარწერით: „1914 წელს აკაკი წერეთლის მონაწილეობით ქუთაისში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რაც ნ. ხალარაძემ ფოტოზე აღბეჭდა“.

ფოტოს განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია გალაკტიონზე:

„სადაა ეს არქივი? სურათების სია თან აქვს, თუ არა, აგრეთვე ნეგატივების?

საინტერესოა, რომ აქ არის ევდოშვილი. ის ჩამოვიდა ქუთაისში საღამოს გასამართავად და, ალბად, ეს ფოტოც იმ დროისაა. როდის გაიმართა ევდოშვილის საღამო ქუთაისში? საჭიროა აღვადგინოთ...“

ი. ევდოშვილის საღამო გაიმართა 1914 წლის 7 ივნისს. ქუთაისის გაზეთი „იმერეთი“ 10 ივნისს იუწყებოდა: „როგორც მოსალოდნელი იყო, ქუთაისის საზოგადოება გულმხურვალედ და ტკბილის გრძნობით შეეგება ავადმყოფ მგოსნის ევდოშვილის საღამოს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო...

მგოსნის საღამო მეტად შინაარსიანი და მრავალფეროვანი იყო. დაწვრილებით აღნიშვნას არ შევუდგებით. ევდოშვილი საზოგადოებამ დიდის აღფრთოვანებით მიიღო და მიესალმა მის გამოჯანმრთელებას, ხოლო ბატონ კუპრაშვილის 6 წლის ქალიშვილმა მგოსანს ტკბილის ენითა და ლამაზი ლექსით დიდი ხნის სიცოცხლე უსურვა. ეს სცენა თავის სილამაზით უმშვენიერესი იყო. დიდი შთაბეჭდილება დატოვა ბატონ კიტა აბაშიძის ლექციამ „საქართველოს მოღვაწეთა აზროვნების ევოლუცია მე-19 საუკუნეში“.

ლამაზი იყო ბატონ ია ეკალაძის ნაწარმოები „ალსარება“, ზ. თომაშვილმა და ცვარნამმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები... ვოდევილმა „არივ-დარიამ“ — მხიარულად ჩაიარა ნემოს წყალობით... საკონცერტო განყოფილებაც მშვენიერი გამოდგა. დიდი ნაწილი საზოგადოებისა უადგილოდ დარჩენილი გულდაწყვეტილი ბრუნდებოდა თეატრის კარებიდან...

ჯაფარ ფაშა

(ალ. ჯაფარიძე)

აღნიშნულმა ფოტომ გალაკტიონის თვალწინ გააცოცხლა 10-იანი წლების ქუთაისი, ახალგაზრდობის წლები, ნაცნობ-მეგობართა წრე. გალაკტიონი დასცქერის და იხსენებს თავის ნაცნობ-მეგობრებს, ქუთაისის ლიტერატურულ ცხოვრებას. გალაკტიონმა დაახასიათა ფოტოზე წარმოდგენილი თითოეული პიროვნება, დაყო თაობების, მიმდინარეობების, პრინციპების, ზნე-ჩვეულებების, ხასიათების მიხედვით. გთავაზობთ გალაკტიონის კომენტარს:

# „დაუვიწყარ დღეთა თილისმა“

## გალაკტიონი იხსენებს...



სხედან: მარცხნიდან — ტიციან ტაბიძე, გრიგოლ ვეშაპიძე, იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, ლადო დარჩიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ისიდორე კვიცარიძე; დგანან: გალაკტიონ ტაბიძე, აკაკი სვანი (მარგიანი), მელა (ბარნაბ მალაზონია), ილია ბახტაძე, ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე), ნემო (მიხეილ ჯანოევი), თეოფილე ხუსკივაძე, აბაშისპირელი (კ. გამსახურდია), ჯაჯუ ჯორჯიკია, ცვარნამი (დავით მებუკე), ლელი ჯაფარიძე.

1914 წელი, ივნისი

„ყველა ამათგან ამჟამად ცოცხალია 4 კაცი. თვრამეტი კაციდან ოთხი. **И чей нибудь уж близок час.**

აი სია იმ თოთხმეტისა: აკაკი სვანი, ია ეკალაძე, მიხაკო ჯანოევი (ნემო), თეოფილე ხუსკივაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, ლელი ჯაფარიძე, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ ვეშაპელი, იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, დავით კლდიაშვილი, ლადო დარჩიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, (აქ ცამეტია) აკაკი. ეხლა ხომ თოთხმეტია?

ცოცხალი ვართ: გალაკტიონ ტაბიძე, ილია ბახტაძე, კონსტანტინე გამსახურდია, დათიკო მებუკე, თვით სალარაძე 80 წლისაა.

ეტყობა ზაფხულია: ან არა გაზაფხული. ზაფხულობით მოწაფეები დათხოვნილნი არიან და გადიან ქალაქიდან. აქ კი ლელიკო ჯაფარიძე და დათიკო მებუკე თეთრ ბლუზებში არიან სამოსწავლო ქამრებით, ფოლაქებით. თეთრი ბლუზებით (ჰმ).

ყველას ერთნაირი საყელოები აქვთ. გარდა ორი კაცისა: ილია ბახტაძეს და ვარლამ რუხაძეს, რომელთაც გაბამებული მაღლა დაყენებული საყელოები აქვთ.

საზაფხულო პიჯაკებითაა მხოლოდ ორი კაცი: თეოფილე ხუსკივაძე და ილია ბახტაძე (ია ეკალაძეს მხოლოდ ჟილეტი აქვს თეთრი).

დავით კლდიაშვილი სამხედრო ტანსაცმელშია.

საინტერესოა: სადაა გადაღებული ეს სურათი, ე. ი. ქუთაისის რომელ ადგილას, არა სჩანს, რომ კვიცარიძის კონტორა იყოს, ვინაიდან წიგნები არა სჩანს.

დგამი სულ უბრალოა: მაგიდაც, სკამებიც.

მაგიდის გარშემო მჯდომარეთა სკამები სულ უბრალონი არიან: ევდოშვილი, ნიკოლაიშვილი, დარჩიაშვილი სხედან.

ქუდი სკამეიკაზე, ვისი უნდა იყოს იგი? ხომ არ არის მეორე ქუდიც?

ვარლამი სწორედ ისე ზის როგორც თავუნას ახსოვს... იქაც, აქაც.

ტიციანს ახლად შეკერილი კოსტიუმი აცვია. გიმნაზია ეს-ესაა დაამთავრა. მეორე მის ამხანაგს ლელიკო ჯაფარიძეს ჯერ ისევ სამოსწავლო ბლუზა აცვია. ვერ მოუსწრია კოსტიუმის შეკერვა და სდგას დ. მებუკის გვერდით.

ევდოშვილს და ნიკოლაიშვილს მუხლი მუხლზე აქვთ გადადებული (მგონი ევდოშვილსაც საზაფხულო ტანისამოსი აცვია). ია ეკალაძეს და ევდოშვილს ერთნაირად აქვთ შუბლზე ხელი შემოდებული (ეს, ალბად, ფოტოგრაფის რჩევით). აკაკი ჯოხზეა დაყრდნობილი. სახე დიდებულად აქვს, გამოირჩევა ყველასაგან.

ნემოს არტისტული პოზა დაუჭერია. ყველაზე უბრალოდ აქ მე ვარ მხოლოდ.

თავმოტვლეპილები მხოლოდ ნემო და ხუსკივაძეა. გამსახურდიასაც მოუსწრია კოსტიუმის შეკერვა. ალბად, თუ ახლა დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია. ასე? ასეა!

აკაკი წერეთლის გარდა ღრმა მოხუცებულობა აქ არავის ეტყობა.

აკაკი წერეთელს იუბილე გადაუხადეს 50 წლის მოღვაწეობისა 1908 წელს, ე. ი. სამწერლო ასპარეზზე გამოსულა 1858 წელს. მომავალ წელს სრულდება 100 წელი აკაკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან და 50 წელი ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან. აკაკის ლექსი იყო „საიდუმლო ბარათი“, ჩემი ლექსი „ხქელი ღრუბელი“. რამდენი წლის იყო ნეტა მაშინ აკაკი. არ ვიცი ამ სურათზე სჩანს მოხუცი არა ნაკლებ სამოცდაათი წლისა.

ია ეკალაძეს კი მგონი ის კოსტიუმი აცვია, რომლის ყიდვაშიც მე დავეხმარე სასტუმრო „გურიის“-ს ქვეშ. მან შეკერილი კოსტიუმი შეიძინა, მახსოვს სადა მცალიაო ეხლა მკერავს ველმანჯო ეს სხე გამიკეთე, ეს ისე — მერე როდის მალირსებზ შეკერვასო, არა, მამა, არაო. მზა მზარეული ტანისამოსის არჩევას არა სჯობია რაო. პოზა კი იას მისი საყვარელი ანდაზისა არ იყოს: „ავაფურთხე — ულვაშს მომხვდა, დავაფურთხე — წვერზედაო“.

(დასასრული მე-7 გვ.).

# გალაკტიონი იხსენებს...

(დასასრული)

პირველი თაობის აქ აკაკი წერეთელია.

მეორე თაობის: დავით კლდიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ლადო დარჩიაშვილი, თეოფილე ხუსკივაძე და მსახიობი ნემო.

მესამე თაობის: იროდიონ ევდოშვილი, ია ეკალაძე, ილია ბახტაძე.

მეოთხე თაობის: ვარლამ რუხაძე, ვეშაპიძე, ჯორჯიკია.

მეხუთე თაობის: გალაკტიონ ტაბიძე.

მეექვსე თაობის: ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დათიკო მებუკე და ლელიკო ჯაფარიძე.

ილია ბახტაძე ტანზეც კარგად იცვამდა და ფულებიც ყოველთვის საკმარისი ჰქონდა. როდესაც რომელიმე ამხანაგი დაესესხებოდა, ილიას ყოველთვის ჰქონდა ხოლმე ჯიბეზე ფული. ყველაზე მეტად უფულოები მთელ ამ წრეში მაინც მე და ევდოშვილი ვიყავით. ევდოშვილი ახლად დაბრუნებული იყო გადასახლებიდან და ხრულებით არა ებადა რა. მახსოვს ია ეკალაძე ეხმარებოდა. დანარჩენებს ყველას, ასე თუ ისე, რაიმე წყაროდან მოსდიოდათ ზოგს ხელფასი, ზოგს ჰონორარი. დავით კლდიაშვილი, თავისი ხასიათით, ძალიან მშვიდი და თავაზიანი იყო. ეს ეკალაძე გაზეთის რედაქტორი იყო. ნემო ხომ მსახიობი იყო. თეოფილე ხუსკივაძე კი ჩვენი ხელმძღვანელი იყო. ჭაჭუ კი ხათუნცოვი იყო. ლადო დარჩიაშვილი ყველაზე ახლოს იყო ჩემთან. არ ვიცი რათი ისე იყო, ხუმრობა უყვარდა ყველას. ასეთი წრე იყო ჩვენი და ერთ ნაპრალში ფიქრობდნენ ყველანი. ყველა ერთად ვიკრიბებოდით. აკაკი წერეთელი, დავით კლდიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი, ლადო დარჩიაშვილი, თეოფილე ხუსკივაძე, ნემო, ილია ბახტაძე, ია ეკალაძე, იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, ვეშაპიძე და მერე ჩვენ, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია.

თუ ხურთაო 1914 წლისა, იმიდან კიდევ გამოსული იყო თუ არა ეს ჩემი პირველი წიგნი.

მახსოვს, წიგნი ზაფხულზე გამოვიდა.

ზაფხულზევე ტფილისში ნიკოლაიშვილთან ვიყავით და მან თავისთან დაგვპატიჟა. მე და ტიციანი, ბოღელი და ეს ყველანი ჩამოვედით ერთად და ტიციანი ზოგიერთი ლექსის კითხვას შეუდგა.

— რა წელიწადი იყო ეს? რამდენი წლის ვიყავით ჩვენ?

— რა წელიწადი იყო? — ვეუბნებოდი ტიციანს.

— პირველ წიგნს, — ვეუბნებოდი ტიციანს. ზამთრის თუ არა წიგნი, იმიტ გამოცემაში იყო და მე იგი ჩემი ტიციანის ხელში იყო.

მწუხარება. მე ვფიქრობდი ამ წიგნით ქვეყნის აღება. აქ კი იასონი შემდეგ ჩემს მაგიერ ქვეყნის აღებას. არა შევცდი... მართლაც ძალზე, იასონი კი არა (იასონი წინ იყო), გურამიანი, ამბობდნენ. გურამიანი... ჭაიხურ პირველი დიდი მხოლდობი იყო. ჩვენ ყველანი დავიშალეთ. ილია ბახტაძე მიაწერს თავის ხონს. ია ეკალაძე ცოტა ხანს დაჰყო და მერე მოსკოვში წავიდა. ნემო ქუთაისის სცენაზე თამაშობდა. ხუსკივაძე; კონსტანტინე გამსახურდია საზღვარგარეთ გაემგზავრა, ჯერ თბილისში გადმოვიდა, ტიციან მოსკოვისკენ წავიდა, ვეშაპიძე, ევდოშვილი ტფილისში დაბრუნდა, ვარლამ რუხაძე ქუთაისში დარჩა. დავით კლდიაშვილი სიმონეთში დაბრუნდა, ლადო დარჩიაშვილი ტფილისში, ლელიკო ჯაფარიძე და დავით მებუკე ხალხის წინაშე. არ ვიცი. აკაკი ხვანთ ხვანბის, ალბაზ, მაინც მოკვდებოდა სანამ თავს იჩენა. ჩვენ ხელში მალე მოიკრიბებოდნენ გაუჩენით. ვენას ჭამა, რომლის ბოლოს ახლა გაქრებოდა. მაინც ილია კი ამ სურათზე გამოჩნდა. ხაზი ყველაზე დავიშალეთ.

1914 წელი იყო მშვიდობის უკანასკნელი წელი.

— აბა, ხონში ვინ მოხვალთ, ხონში! — იძახის არტისტი ნემო... აბა, სკამზე მიგელეობით ხონსატონული ქუჩის სასტუმროს თაიგულით და ჩვენი ხალხით ლექსს. ვფიქრობდი ჩემი ლექსის კითხვაც ვიქენით, აი, ქოზედ ჩვენი ხალხ, სასახლეში და ჩვენი ხალხი. ჩვენი დავით ბერძენიშვილი პირველად ხელნაწერი ჩვენი ტკბილი დედათა, რომელიც მონდომებით, ჩაფიქრებული ლექსები მოგვაწოდა: "მაინც ვინ აქ ხელის ჯაფი უნდა, არა??"

— ესეც, ერთი ეხსა სახლისები: რა საჭირო იყო ამდენი ფიქრის ხარჯვა. ვინ რაში უნდა ი. ევდოშვილის დიდი მწერლობა ი. ნიკოლაიშვილის პოლიტიკური სათავიდან? მაგრამ მას მეორე თითქმის... სინამდვილე იყო. ეხლა სხვაგვარად იდგინენ დონის, ზოგჯერ უცებ აინჩაძეთ, ავიდოდით ამ ჩემი ახლა მერიდგობით, ის უცხო ჩაბრძოლება. ხომ მეტი ლექსი და, რომ ასეთი ქვეყანაში გამოჩნდა და ბიჭი შენზე ყველას მანც ჩვეულებრივი სხვა. რა ესმის დავეშვი... ეკვე ვნახოთ თითქმის დამტკიცება. რეპ ალბათ ჩემი, და თავიანთ ტუჩებით მიგვეცა სული.

ამ, ხასიათისგან სამუშაოებაა, განა??

1957 წ. 20 ნოემბერი

გალაკტიონს დიდხანს გაუყვა ამ ფოტოს შთაბეჭდილება. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა მას.

„დამე ფანჯრიდან ეხედავ პირველი თოვლი მოდის!!! ამბავი თოვლია წუნდთმის! ხვალ ვნახოთ როგორი დღე გათენდება.

ია ეკალაძე — მაინც თავისებურია ამ ფოტოში. ხელი მუხლზე ნიშნავს ერთგვარ თავისებურებას. მაინც ეფეროზ... ეს რაში ყოფნის კიდევ ია ეკალაძე მარჯვენა ხელით დაყრდნობილი ილია ბახტაძეს, რადგან ნემოთი, რადგა სააპლოის ნიშნით. მეუნ რომელსაც იასონ ხრულიად ამბობს არ ხდეგანი ერთმანეთთან, არც ცალ-ცალკე, არც ხელოვნებით, არც წლოვანებით, არაფრით, ხრულიად არაფრით. ისინი ერთმანეთთან არ ხდეგანი. ია ეკალაძე ნიკოლაიშვილთან, ილია ბახტაძე სოციალ-დემოკრატი. ამ მხრით მათში შეურიგებელი ბრძოლა უნდა წარმოებდეს. თუმცა ილია ბახტაძე არავითარ ბრძოლას არ აწარმოებს არავის წინააღმდეგ. ის ჩუმი სოციალ-დემოკრატია. ია ეკალაძისთვის ამ სულდება ყველაფერი? ოლონდ ჩემიდეს ჭიკიურს ეღუვეთ მხარს! ვინმემ, ვინც ივნება ხელდროთა.

ნემო. აი, მართლაც რომ კოხტად გამოიყურება სწორედ ისეთი პოზით, როგორიც სცენაზეა: დაუოდებლად, ამაყად გამოიყურება. საცაა რაიმე მონოლოგს, უსათუოდ ხამლეტის, წარმოთქვამს, საცაა იტყვის რამეს, უცნაურს, ისეთს (ბურჟერ ეკიმოგნოზურიანი მე და ნემოს ერთად). რა დიდებულია დავით კლდიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი და ლადო დარჩიაშვილი. სამი უმშვენიერესი პიროვნება.

— დიდებულია, დიდებული! — ამბობს ის.

— ფოტოგრაფო, მე შენ შემოგყურებ, — ამბობს აკაკი ხვანი.

— ხონის პროლეტარიატი იწვევს ჩაეხას ბრძოლაში, — ამბობს ილია ბახტაძე.

— სოციალისტებს არა მჯერა-რა, — ამბობს ია ეკალაძე.

— დოუსტაევსკი? დოუსტაევსკი? — გრიალებს ნემო.

— თხზულებანი ბატონო, თხზულებანი! — რატომღაც გაიძახის თეოფილე ხუსკივაძე.

— რას ამბობს კონსტანტინე გამსახურდია?

— რას ფიქრობს ნუტა ჯაჭუ ჯორჯიკია?

— რაზე ოცნებობს დათიკო მებუკე?

— რა მინწებს ისახავს მომავალში ლელიკო ჯაფარიძე?

— ვარლამ რუხაძე?

— ვეშაპიძე?

— ტიტია? მაშინ ხომ ტიციანი არ ერქვა. ათი წლის განმავლობაში ის ხელს აწერდა ტიტე ტაბიძე, ტ. ტაბიძე, ტიტია.

ვარლამ რუხაძის პოზა ისეთივეა, რაც მას ახასიათებდა: აკაკი წერეთელს დაინახავდა თუ არა, მის გვერდით უნდა მოხვედრილიყო უსათუოდ... თო..., ისე როგორც შეიძლებოდა.

მაინც რა კარგადაა გამოსული დავით კლდიაშვილი. ეს პატარა კაცი აკაკის გვერდით მშვენიერად ზისაზ. ხოლო ი. ევდოშვილსა და იასონ ნიკოლაიშვილს რომ ფეხი ფეხზე აქვთ გადადებული აკაკის წინ, ეს რაღაც არ მომწონს, მაგრამ რას იზამ. ეს ფოტოგრაფიას ხ. ხალარაძის რჩევაა — თქვენ ასე დაჯექით, თქვენ ასე გამოიხედეთ, თქვენ ფეხი ფეხზე გადადებული და სხვ. ეს რა თქმა უნდა საჭიროა, მაგრამ არა ყოველთვის... ყველა, ჩემს გარდა, საკმარისად უზრუნველყოფილი იყო. მე კი იმ დღეს, მახსოვს, ხადილის ფულიც კი არა მქონდა. ყველას პატივსა ვცემდი, მაგრამ არცერთ მათგანთაგან დაახლოებული არ ვყოფილვარ, რომ გულახდილად მეთქვა ყველაფერი. პირიქით, თავს ლოთილად ვიჭერდი. მერმე, როგორც მახსოვს, ხაბრალო ტიციანიც (მაშინ ტიტია ერქვა) ამ მდგომარეობაში იყო, თავს კი ისე იჭერდა... (ამ).

და ამ თერთმეტი კაცისაგან თოთხმეტი ცოცხალი აღარ არის... დავრჩით ოთხნი".

პუბლიკაცია მოამზადა **მზია ქუცნიაშვილმა.**

# პირველი გოლები, პირველი ინციდენტები...



...რამდენი გუნდი იასპარეზებს ფეხბურთში საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატში? სწორედ ეს საკითხი გახლდათ ძირითადი თემა პარასკევს გამართული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე. ყრილობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ემოციები ჭარბობდა, იყო ბევრი მიუღებელი წინადადება თუ შეურაცხმყოფელი შეძახილი, მაგრამ საბოლოოდ „უმრავლესობამ" გაიმარჯვა და ცნობილი გახდა, რომ უმაღლეს ჯგუფში წლევანდელ საგაზაფხულო ჩემპიონატში 20 გუნდი ითამაშებს. ამ ყრილობის ვრცელ რეპორტაჟს უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ, იქამდე კი ჩვენი, სუბიექტური აზრი გვინდა გამოვთქვათ (რომელიც, გვჯერა, არ ეწყინებათ ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთ) ამ საკითხზე — რა აუცილებელი იყო რიგგარეშე ყრილობის გამართვა უშუალოდ სეზონის დაწყების წინ? მეორე დღეს (ე. ი. შაბათს) ხომ უმაღლესი ჯგუფის გუნდებს პირველი მატჩები უნდა ჩაეტარებინათ? კიდევ ვიმეორებთ, რომ ეს ჩვენი სუბიექტური აზრია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ რიგგარეშე ყრილობას აუცილებლად დავუბრუნდებით...

შაბათს კი, საქართველოს ათ ქალაქში რესპუბლიკის 20 საუკეთესო გუნდი (ბევრი ხომ არ არის?..) მეორე ეროვნულ ჩემპიონატში ჩაება. წინდაწინვე ვთქვათ — თითოეული მატჩი მეტად საინტერესო, დაძაბული და ლამაზი გამოდგა. ყველაზე სასიხარულო, ალბათ, ის იყო, რომ ფეხბურთმონატრებული, „გამოზამთრებული" გულშემატკივრებით გაივსო რუსთავისა თუ სოხუმის, ზუგდიდისა თუ ფოთის სტადიონები. და მთავარი — ბოლოსდაბოლოს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ხალხმრავლობაც ვიხილეთ, მაგრამ... ეს ყველაფერი „იბერიას" დამსახურება იყო თუ იტალიური „ტიპოსი", ამის დადგენა, ცოტა არ იყოს, ძნელიცაა. ასევე ძნელია შევაფასოთ ის ინციდენტი, რომელიც ამ მანქანების გათამაშების შემდეგ მოხდა — ამას, ალბათ, შესაბამისი ორგანოები გაარკვევენ.

დიახ, პირველი მატჩები, პირველი გოლები, პირველი სიხარული და... პირველი ინციდენტებიც. რას ვიზამთ — სხვანაირად არც გამოდის. ფეხბურთი რომ ემოციური სპორტია, ეს ახალი არავისთვის არ უნდა იყოს, მაგრამ ზედმეტი ემოციის გამომჟღავნება, რომელიც შემდეგ დაუნდობლობაში და სისასტიკეში გადადის, ქართული ფეხბურთისათვის ძირგამომთხრელია... როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, სწორედ ასეთი არასასიამოვნო სიტუაცია გახლდათ გორში, სადაც მსაჯის მოქმედებით განაწყენებული გულშემატკივართა ერთი ნაწილი მხოლოდ მოედანს შემოვლებულმა რკინის ღობემ შეაკავა, თორემ...

ახლა კი რამდენიმე სიტყვით გვინდა იმ შეხვედრაზე ვისაუბროთ, რომლის თვითმხილველნიც ვიყავით ჩვენ პირველ ტურში. შარშანდელმა (მესამე პრიზიორმა) რუსთავის „გორდამ" უმაღლესი ჯგუფის დებიუტანტს — ვანის „სულორს" უმასპინძლა. ყველა, ისე როგორც ამ სტრიქონების ავტორი, რუსთაველთა უფრო გამოცდილი და სტაბილურად დაკომპლექტებული გუნდისაგან საკმაოდ იოლ გამარჯვებას მოელოდა, მაგრამ, ვანის „სულორის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს (განსაკუთრებით პირველ ტაიმში). ბევრს, ალბათ, ძალიან ბევრ გუნდს გაუჭირდება ამ საინტერესო კოლექტივთან თამაში. „სულორის" მებრძოლ ხასიათზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ისინი ორი აშკარად გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდნენ და კობა ორმოცაძეც და ჯიმშერ ვერულაშვილიც სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. ასევე აღსანიშნავია ვანელთა ახალგაზრდა მეკარის მიხეილ ერემეიშვილის საიმედო თამაში და კარგი რეაქცია. ორ შემთხვევაში მან სწორი რეაქციის წყალობით გადაარჩინა თავისი კარი აშკარა გოლს — ჯერ მამუკა ფანცულაიასი, შემდეგ კი გია კილასონიას უძლიერესი დარტყმების შემდეგ. მეორე ტაიმში „გორდამ" „ამოსუნთქვის" საშუალება აღარ მისცა მეტოქეს და მათმა სახიფათო და ტექნიკურმა ფორვარდებმა ვასილ მიქაშავიძემ და მამუკა ფანცულაიამ ორი ეფექტური ბურთი გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში მათი „ასისტენტი" ამ მატჩში მეტად აქტიური ტარიელ კაპანაძე გახლდათ, რომელმაც გია ფირცხალავასთან ერთად მთელი მარჯვენა ფლანგი „დაისაკუთრა". „გორდას" თამაშის სადავეები მატჩის ბოლომდე არ გაუშვია და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწია. რაც გუნდის თითოეული წევრის დამსახურება იყო. მაგრამ, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ, ცოტა არ იყოს, უხეში შეცდომები (თან ზომაზე მეტი) მოსდიოდა გასული წლის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს დიმიტრი კუდინოვს. და რომ არა ხვიჩა ქასრაშვილის გააზრებული თამაში „დაზღვევაზე", რუსთაველთა კართან სახიფათო მომენტების რაოდენობა აშკარად გაიზრდებოდა. მაგრამ, კუდინოვს წლევანდელ სეზონში სათამაშო პრაქტიკა აკლია და, ალბათ, ეს იყო კიდეც მიზეზი მისი შედარებით არასაიმედო თამაშისა.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს რუსთავის „ფოლადის" სტადიონის ყოვლად უვარგისი საფეხბურთო მინდორი... ვერა და ვერ „მოირგეს" ბურთი კარში დასარტყმელად როსტომ თორლაშვილმა და გია კილასონიამ... ასეთი სტადიონები მარტო რუსთავში კი არა, თითქმის ყოველ ნაბიჯზეა, მაგრამ მშველელი და პატრონი არ სჩანს... ისევე, როგორც არ ჰყავს პატრონი იგივე „ფოლადის" სტა- [illegible] რაში (რამში, უდავოდ, დიდი დამსახურება მიუძღვის მთავარ მსაჯს ელგუჯა სილაგავას) ასეთი შემადგენლობებით იასპარეზეს:

**„გორდა":** ქორიძე, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, თორლაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

**„სულორი":** ერემეიშვილი, კანკაძე, გ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, ძაგნიძე (ქ. დვალიშვილი), ორმოცაძე, გიზო ბრეგვაძე (ნ. დვალიშვილი), ბუიშვილი, არველაძე, ჯ. ვერულაშვილი, გოჩა ბრეგვაძე.

**ზია ტუხაშვილი**

**საქართველოს 1991 წლის საგაზაფხულო ჩემპიონატის I ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა:**

„იბერია" — „ალაზანი" 3:0;
„გურია" — „მარგვეთი" 3:1;
„ბათუმი" — „ივერია" 3:0;
„ოდიში" — „მზიური" 3:0;
„კოლხეთი-1913" — „შევარდენი"-1906" 3:1.
„ქუთაისი" — „ამირანი" 2:0;
„ცხუმი" — „სამგურალი" 0:0;
„მერცხალი" — „ხანავარდო" 1:2;
„დილა" — „კოლხეთი" 0:3.



**სურათებზე:** ზემოთ — „იბერიის" და „ალაზნის" შეხვედრის მომენტი; ქვემოთ — „გორდას" მოთამაშე შეტევაზე.

**ოლეგ გველესიანისა და რაჟდენ ბაზრიშვილის ფოტოები.**

## საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ჟურნალ ... საქველმოქმედო ასოციაცია „...ნება“ და ამავე ... ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მრავალდარგობრივი ფირმა „ალიანსის“ განცხადება

ახალგაზრდულ ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის ბათუმის ორგანიზაციასთან შექმნილია მრავალდარგობრივი ფირმა „ალიანსი“, რომელიც დააფინანსებს ასოციაციას, რათა მან გასწიოს ფართო ქრისტიანული საქველმოქმედო საქმიანობა აჭარაში.

ფირმა „ალიანსმა“ თავის მოღვაწეობაში გადადგა პირველი ნაბიჯი. დაწყებულია საქართველოს ყველა აეროპორტიდან ნებისმიერი მიმართულებით მიმავალი მგზავრების დაზღვევა. შემოსული თანხის ნაწილი მოხმარდება ტექნიკური უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

ფირმა „ალიანსი“ მადლობას უხდის საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს, საქართველოს აეროპორტებისა და ცენტრალური ავიასალაროების ხელმძღვანელობას საქმიანი თანამშრომლობისათვის.

სარეკლამო სააგენტო
„არგო—ბლიკი“

## თურქეთში წამსვლელთა საყურადღებოდ

სატრანსპორტო ფირმა **„გლობუსი“** აწარმოებს თურქეთში იმ ვიზირებულ მოქალაქეთა გადაყვანას, რომელთაც აქვთ პასპორტი და თურქეთის საკონსულოს ნებართვა მარშრუტით **თბილისი — სტამბული — თბილისი** და **თბილისი — ტრაპიზონი — თბილისი** იკარუსის მარკის კომფორტაბელური ავტობუსებით.

სტამბულში მიმავალი ავტობუსები გააკეთებენ შეჩერებებს: **რიზეში, ტრაპიზონში, ფაცაში.** სტამბულში ყოფნის ხანგრძლივობაა სამი დღე. ტრაპიზონში მიმავალი ავტობუსები გააკეთებენ შეჩერებებს: **ხოფაში, რიზეში.** ტრაპიზონში ყოფნის ხანგრძლივობაა ორი დღე.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა **„გლობუსს“** მისამართზე: **პანკავას 3. (საბჭოს 12-თან).**
ელსმენი: 96-94-49

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

### უცხო ენათა შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ:

კოოპერატივი „შუამავალი 88“ გთავაზობთ სწრაფშემსწავლელ კურსებს ფსიქოლოგთა დახმარებით
ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, ებრაული „იბრიტული“

ჯგუფების დაკომპლექტება მთავრდება 31 მარტს.

ჯგუფები სწავლას შეუდგებიან 1 აპრილიდან. სწავლის ვადაა 3 თვე. მეცადინეობას წაუძღვებიან მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები და ფსიქოლოგები. დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საღამოს 6 სთ-დან 10 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის ქ. 39. 60-ე საშ. სკოლა ტ. 39-21-78

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

### საზღვარგარეთული კონტრაქტები

წარმოებებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კერძო პირებს, რომელთაც აქვთ კონვერტირებული ვალუტა და სურთ ამა თუ იმ საქონელის, დაზგა-დანადგარების ან მოწყობილობების შეძენა საზღვარგარეთ, დახმარებისათვის შეუძლიათ მიმართონ ფირმა „ზევს-ს“, რომლის მისამართია:

**თბილისი, წერეთლის 74. ტელეფონი: 35-18-27**

**ფირმა „ზევს“-ის დახმარებით თქვენ საზღვარგარეთ შეიძენთ ნებისმიერ საქონელს.**

**ეწვიეთ ფირმა „ზევს“-ს.**

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

რეპლიკა

## მაშ რა ხდება?

ძალიან ხშირად გაზეთის ფურცლებზე და ტრაფარეტებზე ვხვდებით ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს. ვიცით, რომ კნინობითი ფორმით მიმართვა და ადამიანთა ამ სახით მოხსენიება მხოლოდ ახლო მეგობრულ ურთიერთობაშია დასაშვები. ვიცით ეს ყველამ, მაგრამ მაინც... ქაქუცა ჩოლოყაშვილი. უბრალოდ, უპატივცემულობის გამომჟღავნებაა დიდი მამულიშვილის მიმართ. არადა, ცხადია, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის დამცირებას და ავადხსენებას არავინ ცდილობს; ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან. მაშ, რა ხდება? უბრალოდ, მივეჩვიეთ და გადაჩვევა გვეძნელება, მაგრამ ეს აუცილებელია, რადგან ისეთი დიდი პიროვნება, როგორიც 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორია, ჩემი აზრით, მხოლოდ და მხოლოდ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელით უნდა მოვიხსენიოთ.

**მაია მლებრიშვილი,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.**




**გასულ** წელს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან „პეგასი არაერთხელ „შემოფრინდა“ თქვენს ოჯახებში და

**მშვენიერების სუნთქვა შემოიტანა**

აქ თავფურცელზეც ასე აწერია:
— მშვენიერება გადაარჩენს კაცობრიობასო, გაზეთის პირველი დამოუკიდებელი ნომრის მოწინავეშიც სწორედ ეს აზრია გაცხადებული — „ვის რად უნდა შენი წითელი დროშები და ცარიელი დახლები! შემოგვრჩა, ჩვენისთანა ათ პლანეტას რომ გაავერანებს, იმდენი წყალბადისა და ატომური ბომბები და გადასადნობი ტანკები, რაკეტები... რად გინდა მერე, მტერი არ ჩანს, რომ ესროლო, არ იჭმება და არ ისმება“... ნამდვილად მშვენიერებამ, სიყვარულმა და სიკეთემ უნდა გვიხსნას. ასეთ თემებზე ხშირად დაიწერება „პეგასში“ — ის ხომ საქართველოს კულტურის საერთაშორისო ასოციაციის ორგანოა.

„პეგასი“ ქართული კულტურის გულისცემას აყურადებს.

„პეგასი“ მსოფლიოს ძველსა თუ თანამედროვე კულტურაზეც გესაუბრებათ.

გაზეთი უხვადაა ილუსტრირებული. იგი თვეში სამჯერ გამოდის (ფასი 35 კაპიკი). გამოიწერეთ „პეგასი“ — მკითხველთა თანაგრძნობა და სიყვარული მეტ ძალასა და სილაღეს შემატებს მას.

გაზეთის ინდექსია 66419.

**საკუთარი ინფორმაცია**

### იყიდება

ფრანგული მანქანა „რენო“. საჭე ჰიდროგამაძლიერებლით, სტარტერი ავტომატური. ფარები და გარეთა სარკე რეგულირდება სალონიდან. ძრავი 2000სმ$^3$. 105 ც.ძ. დამონტაჟებულია „watson“-ის ფირმის სტერეომაგნიტოფონი, გამაძლიერებლითა და რვა დინამიკით. დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ
ტელ: 35-18-27 10-დან 16 სთ-მდე.

სარეკლამო სააგენტო
„არგო-ბლიკი“

### ძვირფასო თბილისელებო!

ვიზების, წერილებისა და საქმიანი ქაღალდების სათარგმნელად გიწვევთ კოოპერატივი „ელვა 91“, რომელიც მდებარეობს ა/კ რკინიგზელთა კულტურის სასახლეში დავით აღმაშენებლის გამზირი 127.

ტელეფონები: 95-89-76, 99-33-92 (კანცელარია).

### კოოპერატივი „ფილაქანი“ გთავაზობთ:

**მხატვრულ-დეკორატიული მოზაიკის ფილებს, კიბის საფეხურებს და კიბის საბიჯებს.**

**ჩვენი მისამართია: ვაზიანის დასახლება, სადგურ ვაზიანთან (ვაზიანის გადასახვევიდან 2 კმ.), საქვეყნოს დამხმარე საწარმოო კომბინატის ტერიტორია.**

## განცხადება

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მენეჯერულ გაერთიანებას კავშირი აქვს ევროპისა და ამერიკის წამყვან საიმპრესარიო კანტორებთან და მიზნად აქვს დასახული ხალხური, კლასიკური, საესტრადო და საცირკო ხელოვნების ოსტატთა გაგზავნა უცხოეთის ქვეყნებში საგასტროლოდ, როგორც კომერციულ საფუძველზე, ასევე კულტურული გაცვლის სახით. ამასთანავე განზრახული აქვს მხატვრებისა და ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის მოწყობა საზღვარგარეთ.

მენეჯერული გაერთიანება უფლებამოსილია, როგორც იურიდიული პირი, დაიცვას ცალკეულ შემოქმედთა და კოლექტივების ინტერესები, გააფორმოს შესაბამისი კონტრაქტები.

გაერთიანება მზადაა, ხელშეკრულების საფუძველზე, მოემსახუროს, როგორც ცალკეულ ხელოვანს, ასევე მხატვრულ კოლექტივებს და საერთაშორისო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით შექმნას საგასტროლო სისტემატიზირებული დოსიეები.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: 380008 თბილისი, რუსთაველის პრ. № 22, III სართული, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მენეჯერული გაერთიანება; სამუშაო დღეებში 12-დან 15-საათამდე.

ვცვლი

3-ოთახიან კოოპერატიულ ბინას 46 კვ. მ. საცხოვრებელი ფართით, ტელეფონით, ხარკოვიდან თბილისში 3-ოთახიან ბინაზე. სასურველია საბურთალოს რაიონში.
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ-ზე 93-59-31 18.00 სთ-დან.
იკითხეთ გელა ან დარეჯანი.

**იყიდება ფერადი ქსეროქსი**

**„CANON FC-2“**

**როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე. დარეკეთ 99-94-65**

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-50; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსულ მასალებს ავტორებს უკან არ ვუბრუნებთ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხაშურულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15
Наш индекс 66400

რედაქტორი
ზურაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096.
მ. კოსტავას ქ. № 14.